# ძვირფას მეგობარს

ერთად ვიყავით და შენ ამბობდი,
რომ ეს ცხოვრება ჩემთვის მეტია.
შენ ამართლებდი ცისფერ ოცნებას,
შენ ამართლებდი ამგვარ ხეტიალს.

თითქოს ქვეყანა შენ გაბარია
და აღარ ეძებ ცხოვრების სახსარს.
სთქვი: პოეზია დ ეს ზღაპარია,
სთქვი: პოეზია დ ეს სიზმრის ახსნა.

ისევ ეყრდნობი ძვირფას იარებს
და მწუხარება შენთან ხშირია.
და მახსოვს, ერთხელ შენ აღიარე,
რომ ბერი სხვაზე უფრო გმირია.

უცებ ვეწვიეთ ნაცნობ რესტორანს
და შენ წარმოსთქვი: ხვალაც აქ მოვალ
მე გავიღიმე და მომეწონა,
რომ ამართლებდი შენს უსაქმობას.

ერთად ვიყავით და შენ ამბობდი,
რომ ეს ცხოვრება ჩემთვის მეტია.
შენ ამართლებდი ცისფერ ოცნებას,
შენ ამართლებდი ამგვარ ხეტიალს.

არიშხალს უნდა გული დასეროს,
ფიქრები მაინც ასე იწვიან.
მე ეს ლექსები სად გაიავწერო,
მე ეს ლექსები გულში მიწყვია.

სულს მეგობარი ყოველთვის უნდა
და შენ ისურვე ჩემი დაგმობა.
და პოეზიას ამართლებს მუდამ
ეს ხეტიალი და უსაქმობა.

წარმოვიდგინე მე შენი სახე,

როდესაც იდგა დღე ოქროსფერი.
დავწერე ლექსი ღამის შესახებ
და ჩავიარე ნელა პროსპექტი.